

ფოტოში თიბისი ბანკის ახალი ფილიალი გაიხსნება!

23 აგვისტოს, 18:00 საათზე, ქალაქ ფოთში, (ადმაშენებლის #57) თიბისი ბანკის ახალი ფილიალი გაიხსნება. ფილიალის გახსნის საზეიმო ცერემონიას თიბისი ბანკის ხელმძღვანელი პირები და ადგილობრივი მომხმარებლები დაესრებიან.

თიბისი ბანკის ფილიალი ფოთის პორტთან ახლოს, ყოფილი „წყალოსანთა პოლიკლინიკის“ შენობაში დაიდებს ბინას. მოგეხსენებათ, თიბისი ბანკს უკვე ტრადიციად აქვს ისტორიული და არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების რესტავრაცია და მათში ბანკის ფილიალების განთავსება. ამ ტრადიციას საფუძველი 2005 წელს ჩაეყარა, როდესაც თიბისი ბანკმა თბილისში, მოდერნისტული არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში - კადეტთა კორპუსის ყოფილი შენობა შეისყიდა, დაუბრუნა მას პირვანდელი იერ-სახე და დედაქალაქის ერთ-ერთ ღირშესანიშნავი შენობა ბანკის სათაო ოფისად აქცია.

მოგვიანებით, ტრადიცია გაგრძელდა ბათუმსა და ქუთაისშიც. ამჯერად კი თიბისი ბანკმა ფოთში 1926 წელს აგებული, გუმბათოვანი შენობის რესტავრაცია და მასში თიბისი ბანკის ფოთის ფილიალის გახსნა გადაწყვიტა.

თიბისი ბანკის შენობის ისტორია

1926 წელს ფოთში დაიწყო შენობის მშენებლობა, რომელიც განკუთვნილი იყო ნავსადგურის მუშებისათვის და ასევე ფოთის პორტში შემოსული უცხოელი მეზღვაურების სამკურნალოდ. გადმოცემით ცნობილია, რომ მშენებლობას საფუძველი ჩაუყარა იმდროინდელი გოსდრავის უფროსმა არმენაკ არესაკიევიჩ თურქიანმა.

1935 წლამდე ეს შენობა წყალოსანთა პოლიკლინიკის სახელწოდებით იყო ცნობილი. 1928 წლიდან ის არსებობს, როგორც მეზღვაურთა საავადმყოფო, თუმცა სრულყოფილი სახე შენობამ 1936 წელს მიიღო, როდესაც მასში გაიხსნა 100 საწოლიანი საავადმყოფო და კაპიტალურ შენობად ჩამოყალიბდა. საავადმყოფოს პირველი მთავარი ექიმი გახდათ კ. მიქაბერიძე, რომელიც 1926 წლიდან მუშაობდა საავადმყოფოში და დიდი როლი ითამაშა მის განვითარებაში.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ თიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B1 and Ba 3